საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 63/ს
03/05/2022

63-21-4-202205031052

ქალაქ ბათუმში, ფიროსმანის ქუჩა №14-ში, ყოფილი სპორტსკოლის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (ს.კ.N05.24.05.218) და შ. ხიმშიაშვილის ქუჩა №7ბ-ში არსებული მიწის ნაკვეთის (ს.კ.N05.24.05.250) სამშენებლოდ განვითარების მიზნით განაშენიანების დეტალური გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებისადმი არდაქვემდებარების შესახებ

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში 2022 წლის 21 მარტს წარმოდგენილ იქნა ,,ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის N24 დადგენილება, თანდართული „ქალაქ ბათუმში, ფიროსმანის ქუჩა №14-ში, ყოფილი სპორტსკოლის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (ს.კ.N05.24.05.218) და შ. ხიმშიაშვილის ქუჩა №7ბ-ში არსებული მიწის ნაკვეთის (ს.კ.N05.24.05.250) სამშენებლოდ განვითარების მიზნით განაშენიანების დეტალური გეგმა" და სკრინინგის განცხადება.

სტრატეგიული დოკუმენტი, სკრინინგის განცხადება და საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის N24 დადგენილება „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" შესაბამისად, განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე (https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/33883). ასევე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე.

წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე, დამგეგმავ ორგანოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2022 წლის 13 აპრილის N3687/01 წერილით ეცნობა შენიშვნები (https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/33966).

ქ. ბათუმის მერიის მუნიციპალიტეტის მერიამ 2022 წლის 18 აპრილის N9509 წერილით, ადმინისტრაციული წარმოების გაგრძელების მიზნით, სამინისტროში წარმოადგინა

დამატებითი ინფორმაცია, რომელიც ასევე განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე (https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/33988) და ეცნობა ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით.

სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების არეალი მდებარეობს ქ. ბათუმის სამხრეთ ნაწილში, არდაგანის ტბის მიმდებარედ, კერძოდ ფიროსმანის ქუჩა N14-ში, სპორტსკოლის მიმდებარედ და შ. ხიმშიაშვილის ქუჩა N7ბ-ში. არეალი (გეგმარებითი ობიექტი) მოქცეულია ფიროსმანის, ჟიული შარტავას, შ. ხიმშიაშვილისა და დავით ხახუტაიშვილის ქუჩებს შორის.

განაშენიანების დეტალური გეგმის მიხედვით, გეგმარებითი ერთეულის ფართობი შეადგენს 62 000 კვ.მ-ს და მოიცავს 7 მიწის ნაკვეთს ჯამური ფართობით 45467 კვ.მ. მათგან 2 ნაკვეთზე (ს/კ.N05.24.05.218 და ს/კ.N05.24.05.250; საერთო ფართობი - 15 413 კვ.მ) დაგეგმილია სასტუმროს დანიშნულების მრავალსართულიანი კომპლექსის განთავსება. ნაკვეთების სამშენებლოდ განვითარებისათვის დაგეგმილია განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გაზრდა 4,6-დან 14,0-მდე. განაშენიანების კოეფიციენტი (კ-1) ცვლილებების შედეგად განისაზღვრება 0,7-ით (დადგენილი 0,5/0,7), ხოლო გამწვანების კოეფიციენტი (კ-3) რჩება უცვლელი და შეადგენს 0,2-ს.

„თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების თაობაზე“ თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის საკრებულოს 2009 წლის 27 თებერვლის №4-1 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ ბათუმის გენერალური გეგმის მიხედვით სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების ტერიტორია მდებარეობს შერეულ ზონაში (შზ), ხოლო „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის კონკრეტული უფლებრივი ზონირების რუკის განაშენიანების რეგულირების გეგმის ზონირების ნაწილი) დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 აპრილის N25 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების გეგმის მიხედვით საქმიან ზონაში (შზ-3). გდგ-ის მიხედვით გეგმარებითი ერთეულისთვის ზონირება არ იცვლება. მიწის ნაკვეთები (ს/კ.N05.24.05.218 და ს/კ.N05.24.05.250) ქალაქ ბათუმის გენერალური გეგმის მიხედვით მდებარეობს შერეულ ზონაში (შზ), ხოლო განაშენიანების გეგმის მიხედვით კი საქმიან ზონაში (შზ-3), სადაც განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი კ2=4,6-მდე არის წარმოდგენილი.

დადგენილი კ-2 მაჩვენებლის გადამეტება წარმოადგენს ქალაქგეგმარებითი ხასიათის ცვლილებას, ამასთან „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ საქართველოს კანონის 41-ე მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილია კ1/კ2 მაჩვენებლის გადამეტების საფუძველი - გდგ, რაც იწვევს დაგეგმვის საჭიროებას. შესაბამისად, „ქალაქ ბათუმში, ფიროსმანის ქ. N14; ფიროსმანის ქუჩაზე, სპორტ სკოლის მიმდებარედ და ქ. ბათუმში, შ. ხიმშიაშვილის ქ. N7ბ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე N05.24.05.218 და N05.24.05.250 განაშენიანების დეტალური გეგმის შემუშავების ინიცირების თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის 2021 წლის 16 მარტის N№14.14210759 ბრძანების საფუძველზე შემუშავდა განაშენიანების დეტალური გეგმის პროექტი.

2021 წლის 16 სექტემბერს „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გაიცა გ-15.15212593 განკარგულება. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის N24 დადგენილებით დამტკიცდა „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმა“ .

განაშენიანების დეტალური გეგმის მიხედვით გეგმარებით ერთეულზე, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე, დაგეგმილია სასტუმროს დანიშნულების მრავალსართულიანი შენობის განთავსება, რომლის დაახლოებითი სიმაღლე იქნება 170 მეტრით, ხოლო სართულიანობა - 55 სართული. კომპლექსის ძირითად ნაწილში დაგეგმილია სასტუმრო ნომრების/აპარტამენტების განთავსება, ხოლო ნაწილში (ძირითადად ე.წ. „სტილობატში“ და კომპლექსის ბოლო სართულებზე) სხვადასხვა ფუნქციური დანიშნულების საზოგადოებრივი და კომერციული ფართების (რესტორნები, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრები, ბრენდული მაღაზიები და სხვა) განთავსება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და შპს „ორბი ჯგუფი ბათუმს“ (ს/№445468798) შორის 2020 წლის 4 აგვისტოს გაფორმდა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის პირობიანი აუქციონის ფორმით პრივატიზებისას ნასყიდობის ხელშეკრულება №17“. ხელშეკრულების თანახმად, შპს „ორბი ჯგუფი ბათუმმა“ (ს/№445468798) ქ. ბათუმში, შერიფ ხიმშიაშვილის ქ. №7-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (ს/კ:05.24.05.250) ხარჯზე უნდა მოაწყოს არანაკლებ 10 მეტრი სიგანის საავტომობილო გზა. ნაკისრი ვალდებულებით საავტომობილო გზის მოწყობა წარმოადგენს ქალაქთმშენებლობით ღონისძიებას და შესაბამისად შემუშავდა ქალაქთმშენებლობითი ღონისძიების გეგმა, რომელიც სტრატეგიული დოკუმენტის თანახმად, წარდგენილია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში. აღნიშნული 10 მეტრი სიგანის საავტომობილო გზა ჟიული შარტავას გამზირს დააკავშირებს ხახუტაიშვილის ქუჩასთან. სტრატეგიული დოკუმენტის მიხედვით, გზის მოწყობა საგრძნობლად განმუხტავს სამომავლოდ საპროგნოზო დატვირთულობას ობიექტის მიმდებარე სამანქანე კვანძებზე. სტრატეგიული დოკუმენტის განსახორციელებელ ტერიტორიაზე შესასვლელები მოეწყობა აუცილებელი საჭირო მანევრის შესასრულებლად მინიჭებული პარამეტრების დაცვით შემლებისდაგვარად ნაკლები ფართობის გამოყენების ხარჯზე, რათა მაქსიმალურად შემცირდეს ქვეითის შეყოვნება და ზოგადად სამანქანე დაბრკოლებების წარმოქმნა. დაგეგმილი შიდა ორმხრივი მოძრაობის მქონე სამანქანე გამჭოლი მოძრაობა, ხოლო სიჩქარე შეიზღუდება 20კმ/სთ-მდე. შედეგად, ტერიტორიაზე პრიორიტეტი მინიჭებული ექნება ქვეითს. ასევე, დაგეგმილია სამანქანე სავალი ნაწილისგან კონსტრუქციულად გამოყოფილი ტროტუარების მოწყობა, რომელსაც ექნება პანდუსები. სამანქანო შესასვლელ-გამოსასვლელზე დაგეგმილია ქვეითთა გადასასვლელისა და შესაბამისი საგზაო ნიშნების მოწყობა. სამანქანო შესვლა/გამოსვლის მანევრი დარეგულირდება შესაბამისი ნიშნებითა და პარამეტრებით. ასევე, რეკომენდებული და დაგეგმილია პარკირებების უმეტესი მოცულობის შიდა გეგმარებაში ან/და მინუს სართულზე განთავსება (558 შიდა და 47 გარე საპარკინგე ადგილის მოწყობა),

რათა პრიორიტეტი მიენიჭოს ქვეითს, ასევე განსაზღვრულია გარე პარკირების ზონებიც, რაც, მოაწესრიგებს არსებულ მდგომარეობას, გამოირიცხება გარე არარეგულირებული პარკირებები.

სტრატეგიული დოკუმენტის ეფექტიანობის შეფასების ნაწილში წარმოდგენილია ე.წ. „სვოტ ანალიზი“, რომლის მიხედვითაც წარმოდგენილია შემდეგი სამიზნე აქცენტები:

- ძლიერი მხარეები - ზღვის სანაპიროსთან და ბულვართან სიახლოვე; ქალაქის ღირსშესანიშნაობების სიახლოვე, საზოგადოებრივ ობიექტებზე და ტრანსპორტზე ხელმისაწვდომობა.
- სუსტი მხარეები - შერიფ ხიმშიაშვილის ქუჩის მხრიდან ბულვარისა და პლაჟის მიმართულებით ფეხმავალთა დიდი ნაკადის უსაფრთხო/დამოუკიდებელი გადასასვლელის არარსებობა.
- შესაძლებლობები - ცალკეული დარგობრივი მიმართულების - ტურიზმის განვითარება; ტურისტული ნაკადებისათვის შესაბამისი თანამედროვე სტანდარტების მომსახურების მიწოდება/გაუმჯობესება; თანმხლები სავაჭრო და საზკვების სფეროს გააქტიურება; ამასთან დამატებითი დასაქმების ადგილების შექმნა.
- საფრთხეები - სეზონური დატვირთვის პერიოდში, მიმდებარე კომპლექსების გაზრდილი ტურისტული ნაკადების პირობებში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობის არასაკმარისი სიხშირე.

გდგ-ის დოკუმენტის მიხედვით, დაგეგმილი ღონისძიებები (საქმიანობები) უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს 2025 წლის 31 მაისისა. სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელება დაგეგმილია შემდეგნაირად:

- სასტუმრო კომპლექსის სამშენებლო პროექტის შეთანხმება და სამშენებლო ნებართვის მიღება;
- ტერიტორიის გამოთავისუფლება არსებული შენობა-ნაგებობებისაგან;
- სასტუმრო კომპლექსის მშენებლობა;
- საინჟინრო-ტექნიკური ინფრასტრუქტურის მოწყობა;
- საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა;
- ტერიტორიის გამწვანება;
- ტერიტორიის კეთილმოწყობა;
- პარკინგის მოწყობა;

სკრინინგის განცხადებაში მოცემულია ინფორმაცია როგორც დამგეგმავი ორგანოს შესახებ, ასევე სტრატეგიული დოკუმენტის მომზადების საკანონმდებლო საფუძვლის შესახებ.

სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია ინფორმაცია კახაბრის დაბლობის კლიმატური მახასიათებლების შესახებ (ქ. ბათუმის მეტეოსადგურის მიხედვით), აღწერილია სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების არეალის გეოლოგიური პირობები (მათ შორის გეგმარებითი ერთეულის საინჟინრო-გეოლოგიური პირობები), ტექტონიკა და

სეისმურობა, ჰიდროგეოლოგია, ასევე, სტრატეგიული დოკუმენტი განხილულია დაცულ ტერიტორიებთან მიმართებაში.

გეგმარებითი ერთეულის განაშენიანების დეტალური გეგმით გათვალისწინებული საქმიანობების განხორციელებამ გარემოს კომპონენტებზე შესაძლოა იქონიოს როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი ზემოქმედება. სკრინინგის განცხადების მიხედვით, უარყოფითი ზემოქმედების ხარისხი დამოკიდებული იქნება საქმიანობის სპეციფიკაზე, მისი განხორციელების ხანგრძლივობაზე და გარემოს კომპონენტების მგრძნობელობის ხარისხზე.

განცხადების მიხედვით, დაგეგმილი საქმიანობების განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების სახეები, შეიძლება იყოს:

- ატმოსფერულ ჰაერში მტვრის ნაწილაკებისა და მავნე ნივთიერებების ემისიები;
- ხმაური და ვიბრაცია;
- ნარჩენებით დაბინძურება;
- ავარიული დაღვრებით გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედება.

უარყოფითი ზეგავლენა მოსალოდნელია შემდეგ რეცეპტორებზე:

- ატმოსფერული ჰაერი;
- ზედაპირული და მიწისქვეშა წყლები;
- ნიადაგი და გრუნტი;
- სოციალური გარემო;
- ბიოლოგიური გარემო.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, გეგმარებითი ერთეულის მახლობლად ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ძირითად წყაროს ავტოტრანსპორტი წარმოადგენს. მიმდებარე საავტომობილო გზებზე მოძრავი ავტოტრანსპორტი ერთ-ერთი ფაქტორია სტრატეგიული დოკუმენტის განსახორციელებელ ტერიტორიაზე არსებული ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებითა და ხმაურით დაბინძურების თვალსაზრისით. ასევე, აღნიშნულია სხვადასხვა სახის სამშენებლო სამუშაოები.

სკრინინგის განცხადების თანახმად, დაგეგმილი საქმიანობების განხორციელების შედეგად, მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება არ იქონიებს მნიშვნელოვან გავლენას არსებულ ფონურ მდგომარეობაზე. სტრატეგიული დოკუმენტის თანახმად, ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების გატარებით შემცირდება ზემოქმედება. სკრინინგის განცხადების მიხედვით, გეგმარებით ერთეულზე სამშენებლო სამუშაოები არ გამოიწვევს აკუსტიკური რეჟიმის მნიშვნელოვან გაუარესებას, ხოლო შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გატარებით შემცირდება ზემოქმედება.

სტრატეგიული დოკუმენტის თანახმად, გეგმარებითი ერთეული წარმოადგენს ინფრასტრუქტურითა და ანთროპონეგური ზემოქმედებით დატვირთულ უბანს, სადაც

ნიადაგის ნაყოფიერი ფენა სუსტადაა განვითარებული (ძირითადად იმ ნაწილში სადაც ხეებია წარმოდგენილი), რაც ინფრასტრუქტურული სამუშაოების განხორციელების შედეგად გამოწვეულ უარყოფით ზემოქმედების რისკებს მინიმუმამდე ამცირებს. სტრატეგიული დოკუმენტის თანახმად, გრუნტზე ზემოქმედება დაკავშირებული იქნება შესაძლო ავარიულ დაღვრებთან. გრუნტის დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით სამშენებლო სამუშაოები უნდა წარიმართოს შესაბამისი გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების ნორმების დაცვით. სკრინინგის განცხადების მიხედვით, ნიადაგსა და გრუნტზე უარყოფითი ზემოქმედება დაბალი მნიშვნელობის იქნება.

სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების მიხედვით სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების ტერიტორიაზე გრუნტის წყლები გრუნტის ზედაპირთან საკმაოდ ახლოსაა. დაგეგმილმა სამუშაოებმა შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს გრუნტის წყლის ხარისხზე, რაც დაკავშირებული იქნება სამუშაოების არასწორ წარმართვასთან და ნარჩენების არასათანადო მართვასთან (განსაკუთრებით თხევადი ნარჩენების). ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებზე უარყოფითი ზემოქმედება, ასევე მოსალოდნელია შესაძლო ავარიული დაღვრების შემთხვევაში, რისთვისაც გათვალისწინებული უნდა იყოს ავარიულ დაღვრებზე დროული რეაგირების სათანადო ღონისძიებები.

გეგმარებითი ერთეულის გარშემო გადის ქალაქ ბათუმის საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემა, სადაც ასევე ჩაერთვება სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურა. საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემაში ჩართვამდე, დაგეგმილი სამუშაოების განხორციელებისას მკაცრად უნდა იყოს დაცული გარემოსდაცვითი პირობები, რაც მინიმუმამდე შეამცირებს ზედაპირულ წყლებზე უარყოფითი ზემოქმედების ხარისხს. შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გატარებითა და გარემოსდაცვითი სტანდარტების დაცვის შემთხვევაში ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებზე მოსალოდნელი უარყოფითი ზემოქმედება დაბალი მნიშვნელობის იქნება.

სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას დაგეგმილია არსებული მწვანე საფარის მნიშვნელოვანი ნაწილის შენარჩუნება, ამასთან, განაშენიანება ითვალისწინებს ახალი გამწვანების მოწყობას, კერძოდ - გეგმარებით ერთეულზე დადგენილი გამწვანების ვალდებულება კ-3-ით განსაზღვრულ არეალში (2480 კვ.მ). ტერიტორია მსხვილი ძუძუმწოვრებისთვის და მტაცებლებისთვის საბინადრო გარემოს არ წარმოადგენს, რადგან ტერიტორია ანთროპოგენურად დატვირთულ ზონას წარმოადგენს. სტრატეგიული დოკუმენტის განხორცილებისას, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გატარებით ბიომრავალფეროვნებაზე უარყოფითი ზემოქმედება დაბალი იქნება.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შემთხვევაში წარმოდგენილია აუცილებელად გასატარებელი შემარბილებელი ღონისძიებები. გასატარებელი შემარბილებელი ღონისძიებები დაყოფილია ორ ჯგუფად:

1. ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შემარბილებელი ღონისძიებები.

2. გარემოსდაცვითი შემარბილებელი ღონისძიებები.

სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების და ხმაურის გავრცელების, ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებზე ზემოქმედების, ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების, ნიადაგსა და გრუნტზე ზემოქმედების, ნარჩენების არასათანადო მართვით გამოწვეული ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები.

სკრინინგის განცხადების დასკვნითი ნაწილის მიხედვით:

- გეგმარებითი ერთეულზე არ არის დაგეგმილი, ჰაერის, წყლის და ნიადაგის დამაბინძურებელი მასშტაბური ობიექტების განთავსება;
- სამშენებლო სამუშაოების წარმოების დროს წარმოშობილი ზედმეტი გრუნტი და სამშენებლო ნარჩენები გატანილ იქნება შესაბამისი სამსახურების მიერ მითითებულ ტერიტორიაზე;
- სასტუმრო კომპლექსები თავისი სპეციფიკით არ გამოიწვევს ხმაურს და აკუსტიკური რეჟიმის ფონური მდგომარეობის გაუარესებას;
- ტერიტორიაზე არ არის წარმოდგენილი ჭარბტენიანი ტერიტორიები, ამდენად მათზე რაიმე სახის უარყოფითი ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.
- გეგმარებითი ობიექტის მიმდებარედ არსებული გზები და ნაკვეთები უზრუნველყოფილია სანიაღვრე სისტემით, რაც ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებზე ზემოქმედებას მნიშვნელოვნად ამცირებს;
- ტერიტორიიდან საყოფაცხოვრებო და სხვა სახის ნარჩენების (სახეობის მიხედვით დახარისხებული) გატანა მოხდება ორგანიზებულად ქალაქ ბათუმის დასუფთავების სამსახურის მიერ შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე;

სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული საქმიანობების განხორციელება არ იგეგმება დაცული ტერიტორიებისა და სპეციალური კონსერვაციული მნიშვნელობის მქონე ტერიტორიების (ზურმუხტის საიტი) ფარგლებში. ასევე, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ I ან/და II დანართით გათვალისწინებული საქმიანობების განხორციელება არ არის დაგეგმილი. შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გატარებითა და გარემოსდაცვითი სტანდარტების დაცვის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტით გათავლისწინებული საქმიანობების განხორციელებისას გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი. სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული საქმიანობების განმახორციელებელმა სამშენებლო სამუშაოები უნდა შეასრულოს დეტალურ საინჟინრო-გეოლოგიურ (გეოტექნიკურ) კვლევებზე დაყრდნობით, რომელიც თავის მხრივ მოიცავს როგორც სამთო გამონამუშევრების (ჭაბურღილები) გაყვანას, ასევე ჭაბურღილებიდან აღებული ნიმუშების ლაბორატორიულ კვლევებს. სწორედ აღნიშნულ კვლევებს უნდა დაეყრდნოს ინფრასტრუქტურული ობიექტის პროექტი და შეთანხმდეს მშენებლობის გამცემ ორგანოსთან. ასევე, საჭიროა სკრინინგის განცხადებაში მითითებული შემარბილებელი ღონისძიებების შესრულება.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, წარმოდგენილი დოკუმენტაცია გაეგზავნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს განხილვის მიზნით. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს აღნიშნულ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით შენიშვნები არ

წარმოუდგენია. საზოგადოების მხრიდან სტრატეგიული დოკუმენტის თაობაზე შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილი არ ყოფილა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-20 მუხლის მე-5 ნაწილისა და 23-ე მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება, რომ ქალაქ ბათუმში, ფიროსმანის ქუჩა №14-ში, ყოფილი სპორტსკოლის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (ს.კ.N05.24.05.218) და შ. ხიმშიაშვილის ქუჩა №7ბ-ში არსებული მიწის ნაკვეთის (ს.კ.N05.24.05.250) სამშენებლოდ განვითარების მიზნით განაშენიანების დეტალური გეგმა არ დაექვემდებაროს სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებას;
2. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოსა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდსა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თეიმურაზ მთივლიშვილი



სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო